ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48210429**
თარიღი: **11/02/2021**
პინი: **2531**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 28 იანვარს მოიჯარე გიორგი ჩირგაძემ განცხადებით მომართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ითხოვს გადაუვადოთ საიჯარო ქირის გადახდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გაცნობებთ შემდეგს:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმდა №2 ხელშეკრულება ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე 150 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად „მოიჯარე" წლიურ საიჯარო ქირას 435.60 ლარს იხდის ნაწილ-ნაწილ წლის განმავლობაში ორჯერ 217.80-217.80 ლარის ოდენობით.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ №2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი ჩანაწერით:

1) ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს 2.2.[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

2.2.[1] ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისაგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 30 იანვრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და საიჯარო ქირის გადახდა (217.80 ლარი) მოხდეს 2021 წლის 30 ივნისამდე გადასახდელ საიჯარო ქირასთან ერთად (217.80 ლარი + 217.80 ლარი). საშეღავათო პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა შეტანილ იქნას ცვლილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

26 აპრილს გაფორმებულ №2 ხელშეკრულებაში ზემოთ მითითებული პირობების შესაბამისად.

პატივისცემით,

ზურაბი მაისურაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

6. აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ – 118.80 (ასთვრამეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

მუხლი 5. ხელშეკრულების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობაში გაიცემა 15 (თხუთმეტი) წლით. მოქმედების ვადა აითვლება მხარეთა მიერ ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ხელმოწერის შემდგომ.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. „მეიჯარე“ ვალდებულია:

ა. მოამზადოს ქონების სარგებლობაში გადასაცემად საჭირო დოკუმენტაცია;

ბ. ხელი შეუწყოს „მოიჯარის“ მიერ იჯარით აღებული ქონებით სარგებლობას.

2. „მეიჯარე“-ს უფლება აქვს:

ა. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება.

ბ. მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, თუკი:

ბ.ა. „მოიჯარე“ არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

ბ.ბ. „მოიჯარე“ განზრახ ან გაუფრთხილებლობით აუარესებს იჯარით გაცემულ ქონებას, რითაც ზიანი ადგება „მეიჯარეს“; აღნიშნული მიზეზების წარმოშობის შემთხვევაში „მეიჯარე“ 1 კვირით ადრე წერილობით აცნობებს „მოიჯარეს“ ხელშეკრულების გაუქმების შესახებ და თუ ამ ვადაში „მოიჯარემ“ არ წარმოადგინა ხელშეკრულების გაუქმების მიზეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, „მეიჯარე“ უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება დადგენილი წესით;

გ. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

3. „მოიჯარე“ ვალდებულია შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა. მიიღოს ხელშეკრულებაში აღნიშნული უძრავი ქონება და მიზნობრივად გამოიყენოს იგი.

ბ. არ შეცვალოს სარგებლობის მიზანი.

გ. არ განახორციელოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები იჯარით გადაცემული ქონების მიმართ;

დ. უძრავი ქონება - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 150.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, გამოიყენოს კომერციული დანიშნულებისთვის და საქმიანობა დაიწყოს სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადაში.

ე. სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე, სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, განათავსოს (მოაწყოს) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან წინასწარ შეთანხმებული დროებითი შენობა-ნაგებობა (მსუბუქი კონსტრუქციის შენობა).

ვ.საკუთარი სამუალებებითა და ხარჯებით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში სააუქციონო პირობების შესრულების მიზნით განსახორციელებელი ქმედებებისათვის საჭირო ნებართვის ან/და ლიცენზიის ან სხვა უფლების მოპოვება.

ზ. იჯარით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ დაკავებული ტერიტორია მოიყვანოს პირვანდელ მდგომარეობაში.

თ. განახორციელოს აღნიშნული ობიექტისა და ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, დაცვა.

ი. გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი.

კ. აუნაზღაუროს „მეიჯარეს“ ქონების მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული ზიანი, ამასთან ნორმალური ცვეთა მხედველობაში არ მიიღება;

ლ. უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საიჯარო ხელშეკრულების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება.

5. აუქციონში გამარჯვებულს (მოიჯარე) ეკრძალება:

ა) იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მიწასთან მყარად დაკავშირებული ნაგებობის (მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი) განთავსება.

ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანხმობის გარეშე იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთის შემოღობვა.

6. „მოიჯარეს" უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ იჯარით გადაცემული ქონება გამოუსადეგარი გახდა იმ გარემოებათა გამო, რომლისთვისაც მოიჯარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება;

ბ. საკუთარი სახსრებით აწარმოოს რემონტი, აგრეთვე სხვა სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამეწარმეო საქმიანობასთან. აღნიშნულ საქმიანობებზე გაწეული ხარჯები „მეიჯარის" მხრიდან კომპენსაციას არ ექვემდებარება. ამასთან, „მოიჯარეს" არა აქვს სარგებლობაში გადაცემული ქონების გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება „მეიჯარის" თანხმობის გარეშე.

გ. ქვეიჯარით გასცეს სარგებლობის უფლებით იჯარით გადაცემული ქონება ან მისი ნაწილი მეიჯარესთან შეთანხმებით. ამასთან ქვეიჯარის პირობები უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ვადის დასრულების ან ვადამდე გაუქმების შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა წყდება.

7. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს უფლება არა აქვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სარგებლობის უფლებით მიღებული ქონება, სარგებლობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის, გააქირაოს, იჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) ან სხვაგვარად დატვირთოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეუთანხმებლად. ამასთან, იგი პასუხისმგებელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

9. „მოიჯარეს" აქვს სარგებლობის უფლებით აღებული ქონების უკან დაბრუნების უფლება და თავისუფლდება ქირის შემდგომი გადასახადისაგან, თუ „მეიჯარეს" მოთხოვნის შემთხვევაში შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და „მეიჯარესათვის" მისაღებ ახალ „მოიჯარეს". სხვა შემთხვევაში იგი ვალდებულია გადაიხადოს ქირა ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდის დასრულებამდე.

მუხლი 7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქონების მიმღები პირის პასუხისმგებლობა

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ვალდებულია, მისთვის გადაცემული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისას დაიცვას აუქციონის ან/და სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.

2. სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ: ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში – გადაუხდელი ქირის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

3. სააუქციონო და ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05 %.

4. სარგებლობის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მიიჩნევა სარგებლობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღამსრულებელი ორგანოს მიერ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული სხვა ხარჯები.

მუხლი 8. ქონების საკუთრების უფლება

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქონება, რომელიც გადაცემულია იჯარით, სარგებლობის ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდგომ უნდა დაუბრუნდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტს, კანონმდებლობით დადგენილი წესით თუ „მოიჯარე" ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ „მეიჯარეს" შეუძლია მოითხოვოს დათქმული ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის. „მეიჯარეს" შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

2. სარგებლობაში გადაცემული ქონების გამოყენებით შექმნილი პროდუქცია, შემოსავალი, აგრეთვე ამ შემოსავლის ხარჯზე შეძენილი ქონება ეკუთვნის „მოიჯარეს".

3. სარგებლობაში გადაცემული ქონების მიმღების საკუთრებაა, სარგებლობაში გადაცემული ქონების მთელი ის გაუმჯობესებული ნაწილი, რომელიც მან შეძლო საკუთარი და მასთან გათანაბრებული სხვა სახსრებით და რომელთა გამოყოფა შეიძლება სარგებლობაში გადაცემული ქონების დაუზიანებლად. იმ შემთხვევაში, თუ ქონების ნაწილის გამოყოფა ქონებისაგან შეუძლებელია, სარგებლობაში გადაცემული დაუზიანებლად, მათი ღირებულება „მეიჯარის" მიერ არ ანაზღაურდება.

მუხლი 9. ფორს - მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველ ძალთა გამო.

2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და რომლის დადგომისა და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სტიქიურ უბედურებებს, მიწისძვრებს, სამოქალაქო არეულობებს და სხვა. აგრეთვე, კანონმდებლობის შეცვლა, სახელმწიფო ორგანოების მოქმედებები, რომლებიც შეუძლებელს გახდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულ შემთხვევებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიწევს იმ ვადით, რა პერიოდშიც იარსებებს დაუძლეველ ძალთა სიტუაცია. ვალდებულების შესრულების ვადის გადაწევა არ მოხდება იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარემ დაკარგა ინტერესი მეორე მხარის მიერ ვალდებულების შესრულებისადმი.

3. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორსმაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველზე. ასეთ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორსმაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე და ასევე ვალდებულების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

4. ფორსმაჟორული გარემოებების არსებობის ან მათი დადასტურების შემთხვევაში მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიხედება ფორსმაჟორული გარემოებების ხანგრძლივობის შესაბამისად.

5. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6. ფორსმაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან განიხილონ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეების მიერ ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 11. სხვა დებულებანი

1. მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხები წყდება მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

2 ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურში.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები

მეიჯარე:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
წარმომადგენელი - კონსტანტინე მამისეიშვილი
მისამართი: ქალაქი წყალტუბო
რუსთაველის ქუჩა N25

_____
(ხელმოწერა)

მოიჯარე

აუქციონში გამარჯვებული პირი
გიორგი ჩირგაძე (პ.ნ.53001057271)
მცხოვრები: ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა
სახლი N9 ბ.9

_____
(ხელმოწერა)

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის __ თებერვალი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-48210429; 11/02/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე გიორგი ჩირგაძის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსგან, რომ მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი სახით: ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.2[1]პუნქტი: „2.2.[1] ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 30 იანვრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და საიჯარო ქირის გადახდა (217.80 ლარი) მოხდეს 2021 წლის 30 ივნისამდე გადასახდელ საიჯარო ქირასთან ერთად (217.80 ლარი + 217.80 ლარი). საშეღავათო პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოსარგებლეებს (მოიჯარეებს) უჭირთ იჯარის თანხის გადახდა მუნიციპალიტეტისათვის, მათი დახმარების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შეცვლა, კერძოდ ქონებით სარგებლობისათვის დადებულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებული N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, მერის 2021 წლის 11 თებერვლის N48-48210429 წერილში მითითებული პირობებით, მოსარგებლისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადების მიზნით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

264

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე — მურმან შალამბერიძე

265

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 26 თებერვლის კომისიის სხდომაზე განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-48210429; 11/02/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე გიორგი ჩირგაძის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსგან, რომ მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი სახით: ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.2[1]პუნქტი: „2.2.[1] ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 30 იანვრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და საიჯარო ქირის გადახდა (217.80 ლარი) მოხდეს 2021 წლის 30 ივნისამდე გადასახდელ საიჯარო ქირასთან ერთად (217.80 ლარი + 217.80 ლარი). საშეღავათო პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ვინაიდან, საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოსარგებლეებს (მოიჯარეებს) უჭირთ იჯარის თანხის გადახდა მუნიციპალიტეტისათვის, მათი დახმარების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შეცვლა, კერძოდ, ქონებით სარგებლობისათვის დადებულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებული N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, მერის 2021 წლის 11 თებერვლის N48-48210429 წერილში მითითებული პირობებით, მოსარგებლისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადების მიზნით.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის დასკვნას).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე

266

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48210429**
თარიღი: **11/02/2021**
პინი: **2531**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 28 იანვარს მოიჯარე გიორგი ჩირგაძემ განცხადებით მომართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ითხოვს გადაუვადოთ საიჯარო ქირის გადახდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გაცნობებთ შემდეგს:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმდა №2 ხელშეკრულება ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე 150 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად „მოიჯარე" წლიურ საიჯარო ქირას 435.60 ლარს იხდის ნაწილ-ნაწილ წლის განმავლობაში ორჯერ 217.80-217.80 ლარის ოდენობით.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ №2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი ჩანაწერით:

1) ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს 2.2.[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

2.2.[1] ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისაგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 30 იანვრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და საიჯარო ქირის გადახდა (217.80 ლარი) მოხდეს 2021 წლის 30 ივნისამდე გადასახდელ საიჯარო ქირასთან ერთად (217.80 ლარი + 217.80 ლარი). საშეღავათო პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა შეტანილ იქნას ცვლილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

26 აპრილს გაფორმებულ №2 ხელშეკრულებაში ზემოთ აღნიშნული ცვლილების შესაბამისად.

პატივისცემით,

ზურაბი მაისურაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

268

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის __ თებერვალი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-48210429; 11/02/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე გიორგი ჩირგაძის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსგან, რომ მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი სახით: ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.2[1]პუნქტი: „2.2.[1] ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 30 იანვრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და საიჯარო ქირის გადახდა (217.80 ლარი) მოხდეს 2021 წლის 30 ივნისამდე გადასახდელ საიჯარო ქირასთან ერთად (217.80 ლარი + 217.80 ლარი). საშეღავათო პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოსარგებლეებს (მოიჯარეებს) უჭირთ იჯარის თანხის გადახდა მუნიციპალიტეტისათვის, მათი დახმარების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შეცვლა, კერძოდ ქონებით სარგებლობისათვის დადებულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და გიორგი ჩირგაძეს შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებული N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, მერის 2021 წლის 11 თებერვლის N48-48210429 წერილში მითითებული პირობებით, მოსარგებლისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადების მიზნით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე — მურმან შალამბერიძე

270